

წერილი N 25.09.2023-01
თარიღი: 25.09.2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

შპს „ნოვა ფიქსი“ -ს ს/ნ 445610385
დირექტორის ზაქარია ხიზანიშვილის

სკრინინგის განცხადება

ბატონო ვასილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შპს „ნოვა ფიქსი“-ი გვგმავს, წნეხილი პოლისტიროლის ფილების საწარმოს და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციას, რომლის საწარმოო ხაზის განთავსება დაგეგმილია ქ. თბილისში დ. გურამიშვილის გამზირი N188-ში, შპს „ნოვა“-ს საკუთრებაში არსებულ (ს.კ. 01.12.01.003.288) არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობაში.

წნეხილი პოლისტიროლის ფილების წარმოება საქართველოში იქნება პირველი ქართული ენერგოეფექტური პროდუქტი შენობა ნაგებობების თერმოიზოლაციისათვის, როგორც თქვენთვის ცნობილია ენერგოეფექტურობა ევროკავშირის სტრადეგიული პრიორიტეტია დევიზით „მეტი სარგებელი ნაკლები დანახარჯით“. ენერგია რომელსაც ჩვენ ვზოგავთ ენერგოეფექტური შენობა ნაგებობების თერმოიზოლაციით, არის ის ენერგია, რომლის წარმოება, შექმნა და იმპორტი არ გვჭირდება, შესაბამისად ნაკლები რესურსების მოხმარება, ნაკლები ემისიები გარემოში.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, სკრინინგის პროცედურის გავლის მიზნით, წარმოგიდგინთ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი:

1. შპს „ნოვა ფიქსი“ -ს წნეხილი პოლისტიროლის ფილების საწარმოს და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშის ელ.ვერსია (PDF)
2. SHP ფაილები

პატივისცემით,
დირექტორი ზაქარია ხიზანიშვილი

